

ფესტივალების როლი ყაზახეთისა და საქართველოს სოციალურულ სივრცეში

ანარ იერკებაი საიმჟანკიზი

საკვანძო სიტყვები: ფესტივალი, სოციალურული სივრცე, ყაზახური თეატრი, ქართული თეატრი, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები

წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია ფესტივალების აღქმა სოციალურულ კომუნიკაციასთან კავშირის კონტექსტში. ყაზახეთისა და საქართველოს თეატრალური ფესტივალების მაგალითზე გაანალიზებულია მათი გავლენა სოციალურულ სივრცეზე.

ღღეს ფესტივალი წარმოადგენს კომუნიკაციის უნივერსალურ არხს, რომელიც თავის როლს ასრულებს სოციალური და შემოქმედებითი კომუნიკაციის გაძლიერებაში, ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებში ცვლილებების გამოწვევის კონტექსტში. ფესტივალებს, რომლებიც გვადივვენ საშუალებას, უფრო სიღრმისეულად დავინახოთ თანამედროვე თეატრალური პროცესები, მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საერთაშორისო ხელოვნების ბაზრის ფორმირებასა და განვითარებაში.

ფესტივალების აღმშენებლის ხანა მოიცავს XX-XXI საუკუნეებს. დროთა განმავლობაში ქალაქური დღესასწაულის ეს ფორმა სულ უფრო პოპულარული ხდება. ამის მთავარი მიზეზია მასობრივი კომუნიკაციის განვითარება და ფესტივალის უნარი, ერთ მხატვრულ სივრცეში თავი მოუყაროს ხელოვნების რამდენიმე სახეს.

თანამედროვე ფესტივალები სრულიად სამართლიანად უნდა განვიხილოთ, როგორც თანამედროვე კულტურის ნაწილი, მუდმივად განვითარებადი მხატვრული ფენომენი და აქტიურად ფუნქციონირებადი სისტემა. როგორც წესი, დღევანდელ კულტურულ ტრადიციაში ფესტივალი წარმოადგენს მუსიკის, თეატრის, ვარიეტეს და ცირკის სფეროებში ხელოვნების მიღწევათა დემონსტრირებას. აქ ლაპარაკია მასობრივ დღესასწაულზე, რომელიც მოიცავს ერთი სახე-

ლისა და პროგრამის ეგიდით გაერთიანებულ წარმოდგენებს, ჩატარებულს გარკვეული ინტერვალებით სადღესასწაულო ატმოსფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალი აერთიანებს სხვადასხვა მრავალფეროვან სანახაობას, ხშირად ძალიან განსხვავებულს ერთმანეთისგან.

მნიშვნელოვანია, თითოეულ ფესტივალს უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და ისტორია, ასევე სპეციფიკური მახასიათებლები. ორგანიზატორები იყენებენ ცნობილი ფესტივალების გამოცდილებას და ქმნიან ინდივიდუალურ სტრატეგიას კონკრეტული ღონისძიებისთვის. ყაზახური ფესტივალების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი კონცეფცია უცილობლად უკავშირდება უძველეს ეთნიკურ ტრადიციებს, მიზანს წარმოადგენს ეროვნული კულტურის შენარჩუნება, ხოლო ინოვაციები კულტურაში განიხილება სწორედ ხსენებული მიზნის ტრილში. ყოველივე ეს აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან თანამედროვე საზოგადოების მზარდი გლობალიზაციის გათვალისწინებით, ეროვნული იდენტობის შენარჩუნება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. საკუთარი ხალხის წარსულის პატივისცემა და მივიწყებული ღირებულებებისა და იდეალების აღორძინება ქმნის ერის ურყევი მენტალობის და ცალკეული ადამიანების მსოფლმხედველობის საფუძველს. ყოველივე ამის აღდგენა და გამყარება შესაძლებელია მხოლოდ იმ საკვანძო იდეების მეშვეობით, რომლებსაც იზიარებს ხალხის

თვითშეგნება. ეს გახლავთ ფილოსოფიური და ესთეტიკური მიდგომა, რომელიც გულისხმობს წინაპართა ეთნოკულტურული მემკვიდრეობის გაცნობიერებას და განვითარებას, რაც საბოლოოდ ყაზახეთში ჩატარებული ფესტივალების კონცეფციის საფუძვლად იქცევა.

ბოლო პერიოდში ყაზახურმა თეატრებმა დაიწყეს თანამშრომლობა ბევრ უცხოურ თეატრალურ ფესტივალთან, მათ შორის საქართველოშიც. შემოქმედებითი კავშირები საქართველოსა და ყაზახეთს შორის ყოველწლიურად ღრმავდება. აღმართსა და ასტანაში გამართულ ფესტივალებზე აუდიტორია ეცნობა საქართველოს კოლორიტულ თეატრალურ ხელოვნებას. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არაწევრი საქართველოს კულტურა სწრაფად ითვისებს განვითარების დასავლურ ვექტორს და ერწყმება ევროპულ საფესტივალო მოძრაობას. დღესდღეობით საქართველოში ტარდება რამდენიმე მსხვილი, მსოფლიო დონის ფესტივალი და ხორციელდება რიგი საერთაშორისო თეატრალური პროექტები.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც ტარდება 2009 წლიდან, თავს უყრის შემოქმედებს და გვევლინება ერთგვარ ხიდად ევროპისა და აზიის თეატრალურ ხელოვნებებს შორის.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამის ძირითადი ნაწილი უკავია ქართულ სეგმენტს („ქართული პროგრამა“), რომლის მიზანია ეროვნული თეატრის ინტეგრირება საერთაშორისო კულტურულ სივრცეში. გარდა ამისა, ფესტივალი აძლევს თეატრის მოღვაწეებს გამოცდილების გაზიარების, უცხოელ კოლეგებთან ერთად სპექტაკლების დადგმის ახალ შესაძლებლობებს. ფესტივალის პროგრამა შეიცავს არა მხოლოდ ახალ წარმოდგენებს, არამედ ახალ დრამასაც, თანამედროვე ქორეოგრაფიასა და შემოქმედებით ექსპერიმენტებს.

„ქართული პროგრამა“ უდავოდ წარმატებულია, როგორც ფესტივალის უცხოელი სტუმრებისა და მონაწილეების, თეატრალური კრიტიკოსების, რეჟისორების, პროდიუსერებისა და მენეჯერების შთაგონების წყარო, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებისთანავე ახორციელებენ გვეგებს ქართველ კოლეგებთან თანამშრომლის კუთხით. ამ გზით მას წვლილი შეაქვს

შემოქმედებით პროგრესში და ეროვნულ თეატრებს შორის ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ამ პროგრამის პრაქტიკული მნიშვნელობა განუსაზღვრელია.

მართალია, ყაზახურ თეატრებს ჯერ არ მიუღიათ მონაწილეობა ამ ფესტივალში, მაგრამ დარგის ექსპერტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორი ქვეყნის თეატრებს შორის ურთიერთობებში.

ყაზახმა თეატრალურმა კრიტიკოსები, რომლებმაც არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა საორგანიზაციო კუთხით უნიკალურ „ქართულ პროგრამაში“, აღნიშნავენ საინტერესო პროდუქციის არსებობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამყარებენ კავშირებს ქართველ შემოქმედებთან, რის შედეგადაც ხორციელდება მსხვილი პროექტები. მაგალითად, ახალგაზრდა რეჟისორები გოჩა ხვიჩია და ირაკლი გოგია სპექტაკლების დასადგმელად მიიწვიეს ყაზახურ თეატრებში.

აღსანიშნავია, რომ უმდიდრესი საუკუნოვანი ტრადიციების ქართულმა თეატრმა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აითვისა განვითარების ახალი ვექტორები და სასცენო სტილები, ასევე აღმოაჩინა ახალი სახელები ამ სფეროში. ჩვენ გვექნდა სცენის ისეთი დიდოსტატების ნამუშევრების ნახვის შესაძლებლობა, როგორებიც არიან: რობერტ სტურუა, რეზო გაბრიაძე, თემურ ჩხეიძე, ასევე ლევან წულაძე, გიორგი მარგველაშვილი, დავით დოიაშვილი, დათა თავაძე, მიხეილ ჩარკვიანი და სხვა რეჟისორები. საუბარია ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ოზურგეთში, რომელშიც ყაზახური თეატრები დღეს უკვე აქტიურად არიან ჩართულები.

2022 წელს აკმოლინსკის რეგიონულმა რუსულმა თეატრმა სპექტაკლით „ისწავლე ცხოვრება სიცილით“ და აკტინსკის რეგიონულმა თოჯინების თეატრმა წარმოდგენით „ძალლი“ სტუმრების სტატუსით მონაწილეობა მიიღეს ამ ფესტივალში. 2023 წელს კი საკონკურსო პროგრამაში ვიხილეთ კუდუს კომპიაროვის სახელობის აკადემიური უილურული მუსიკისა და დრამის თეატრი და ჩრდილოეთ ყაზახეთის საბიტ მუკანოვის სახელობის რეგიონული თეატრი, რომლებმაც მაყურებელთა და სტუმართა ფართო აუდიტორიას წარუდგინეს თავიანთი ეროვნული სათეატრო ხელოვნება. სპექტაკლმა „კუკარაჩა“ (რეჟისორ

ბარზუ აბდურაზაკოვილ საბიტ მუკანოვის სახელობის თეატრი) ნოსტალგიის გრძნობა გააჩინა აუდიტორიაში, რადგან ეს ისტორია შეიძლება მომხდარიყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გასული საუკუნის საბჭოეთის ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში. ცელქმა ბავშვები სოფელ აქსუში, რომლებიც ჩუმად ეწევიან სიგარეტს და ოინებით მასწავლებლებს ამწარებენ, უყურებენ ინდურ ფილმებს ადგილობრივ კინოთეატრში, იცინიან და ტირიან, ასევე სუფთა და გულუბრყვილო გრძნობებმა კუკარაჩას და ინგას შორის, აუდიტორია არ დატოვა გულგრილი. მაყურებელი არა მხოლოდ უყურებს ახალგაზრდა უბნის მილიციელის - კუკარაჩას ისტორიას, ბავშვების მოყოლილს, არამედ განიცდის თითოეულ სცენას პერსონაჟებთან ერთად. რეჟისორმა გაუხარა ადაიმ, რომელმაც კომპიაროვის სახელობის აკადემიური უილსონი მუსიკისა და დრამის თეატრში დადგა თანამედროვე ქართველი დრამატურგის - ბასა ჯანიკაშვილის „ომბანა“, რომელშიც გვერდზე გადადო ტექსტის ვერბალური გადმოცემა და პიესის მთავარი აზრი პლასტიკისა და ქორეოგრაფიის მარტივი ენით ასახა. ერთი ოჯახის ბედის მაგალითზე რეჟისორმა დაგვანახა მთელი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება და ტრაგედია, რომელიც მთელ ქალაქებსა და სოფლებს ანადგურებს, მოაქვს სიკვდილი, ანუ ის, რასაც დღეს ბევრი ადამიანი განიცდის მთელ მსოფლიოში. სპექტაკლში ნაჩვენებია დამპყრობელთა სისასტიკე, რომლებიც არ ცნობენ ღირებულებებს, ანგრევენ წლების განმავლობაში სიყვარულით ნაშენებ მშვიდობიან ცხოვრებას, სახლებსა და ოჯახებს.

უილსონი თეატრის მსახიობები განიცდიან ომის საშინელ სისასტიკეს, ითავისებენ დღეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და სხეულის ენით გამოხატავენ სცენაზე. პლასტიკის მეშვეობით სრულადაა ასახული ერთი ადამიანის ბედი და სიცოცხლე, „კადრებადაა“ ნაჩვენები ომში ჩართვის პროცესი და სხვა მიზანსცენები, რითაც არ ირღვევა თხრობის ზოგადი მდინარება.

კომპოზიტორი სერიკჟან აიტკალი სცენაზევე, „ცოცხლად“ ასრულებდა მუსიკას - დომბრას,¹

ჟეტეგენის,² კობიზის³ და სხვა ეროვნული საკრავების თანხლება მსახიობებს პერსონაჟთა ხასიათების ქმედითად გადმოცემაში ეხმარებოდა. დომბრას რიტმები სერიკჟანის ხელში ზუსტად გადმოსცემს მშვიდობისა და შემდეგ ომის დაწყების განწყობას, გმირთა სიხარულსა და ტრაგედიას, ხოლო ჟეტეგენის ხმა თითქოს ჰარმონიულად ერწყმება მსახიობთა მიერ განცდილ ყოველ წამს და პერსონაჟებსა და მელოდიას ერთ მთლიან ორგანიზმად აქცევს. მუსიკამ, რომელიც ჟღერს სპექტაკლის განმავლობაში, წვლილი შეიტანა სიუჟეტის განვითარებაში, დაეხმარა მსახიობებს, ერთ რიტმში იმოქმედონ და გააცნო უცხოელ აუდიტორიას ყაზახური ხალხური საკრავები, რომლებმაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოვიძემ თეატრს მაღლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა, ასევე გამოთქვა იმედი, რომ ორ ქვეყანას შორის კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდება, გაუსვა რა ხაზი ყაზახეთის საშემსრულებლო ხელოვნების შთაბეჭდავ პროგრესს თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ. ის ფაქტი, რომ ფესტივალის რეგულაციებით გათვალისწინებული შვიდი ნომინაციიდან ორში ჯილდო, ასევე ორი სპეციალური პრიზი, გადაეცა ორ ყაზახურ თეატრს, მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის თეატრალური ხელოვნება სწორ გზაზე დგას თანამედროვე სასცენო სივრცის განვითარების კუთხით. რეჟისორის იდეა, ავტორის ჩანაფიქრის ზუსტი გადმოცემა და მსახიობთა უნარები ჟიურიმ და აუდიტორიამ სათანადოდ დააფასეს.

მთავარი პრიზი კი საქართველოში დარჩა: თბილისის თავისუფალი თეატრის „სამანიშვილის დედინაცვალი“ ჟიურის წევრებმა ერთხმად აღიარეს ფესტივალის საუკეთესო წარმოდგენად. დავით კლდიაშვილის ცნობილი ნაწარმოების დამდგმელი რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი კარგადაა ცნობილი ყაზახეთის თეატრალური საზოგადოებისთვის. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა თემირკეპ ჟურგენოვის სახელობის ყაზახეთის ეროვნული სამხატვრო აკადემიასთან როგორც შოთა რუსთაველის თეატრისა და

1 დომბირა არის ყაზახური ეროვნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, თურქულ-მონღოლური (წინაპარი - ჰუნი) კულტურის მემკვიდრეობა.

2 ჟეტეგენი უძველესი ყაზახური საკრავია 21 სიმით, რომელიც წააგავს მწოლიარე არფას ან გუსლს.

3 კობიზი, ასევე კილკობიზი, ნარ-კობიზი, არის თურქი ხალხების უძველესი სიმებიანი ინსტრუმენტი.

კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. გარდა ამისა, მის მიერ ალმათის მიხეილ ლერმონტოვის ეროვნული რუსული დრამატული თეატრის სცენაზე დადგმული შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და ტადეუშ სლობოდზიანეკის „კლასელები“ დღემდე ანშლავით გადის. იგი ასევე იყო ყაზახეთში გამართული არაერთი თეატრალური ფესტივალის ჟიურის წევრი და ჩატარებული აქვს სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნების მასტერკლასები. შესაბამისად, ჩვენ, ვინც ვიცნობთ მანესტროს შემოქმედებას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით მის ოსტატობაში. რეჟისორის ინტერპრეტაციით, მოქმედება გადმოტანილია XIX საუკუნიდან დღევანდელობაში, რითაც იზრდება დადგმის აქტუალობა და დღევანდელი ახალგაზრდობისთვის გაცხადებულია ფულისა და მემკვიდრეობის თემის პრობლემატურობა. რეჟისორის მხატვრული აზროვნებას, ასევე სცენა პერსონაჟთა ხასიათისა და მსახიობთა რეალური ცხოვრების დახატვის ფსიქოლოგიური სიზუსტის კომბინაციას, სპექტაკლი უმაღლეს დონეზე აჭყავს.

რადგან ნოდარ დუმბაძის ფესტივალი ეძღვნება ქართული პროზის მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს, ჩვენ გვექონდა შესაძლებლობა, გვეხილა ქართველი და უცხოელი დასების მიერ შესრულებული კლასიკური თუ თანამედროვე ნაწარმოებები. ფესტივალის მთავარი იდეა ნათელია: თეატრის მეშვეობით ქართული ლიტერატურის გაცნობა მსოფლიოსთვის, ხოლო ის ფაქტი, რომ ღონისძიების „გეოგრაფია“ ყოველწლიურად იზრდება, მიუთითებს მიზნის წარმატებით მიღწევაზე.

დღეს ქართული თეატრები ხშირად სტუმრობენ საერთაშორისო ფესტივალებს ყაზახეთში. 2018 წელს შოთა რუსთაველის თეატრის მონაწილეობა ასტანას მსოფლიო ფესტივალზე გახლდათ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის დროსაც წარდგენილი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული რეჟისორის - რობერტ სტურუას მიერ დადგმული ბერტოლტ ბრეხტის „დაკანონებული უკანონობა“. ამ სპექტაკლში ნაჩვენებია ცხოვრებისა და აქტუალური პრობლემების მძიმე რეალიები. სტურუამ გამოიყენა გროტესკისა და აბსურდის ელემენტები და ამ გზით წარმოაჩინა ამჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია. სარკამზისა და მწვავე სატირის ოსტატურად გამოყენებით მან გამოიჩინა პოლიტიკური გამბედაობა და შექმნა მომხს-

ველი თეატრალური სანახაობა.

2022 წელს ალმათამ უმასპინძლა II საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს „ისაბეკოვის სამყარო“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მწერლის, დრამატურგის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის - დულატ ისაბეკოვის მე-80 წლისთავს. ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ წარდგენილი სპექტაკლი „მსახიობი ქალი“ გადაწყვეტილი იყო მკაცრად მოდერნისტულ სტილში.

ქართველმა მსახიობებმა, რომლებმაც საფუძვლიანად გააცნობიერეს ყაზახური დრამა და გაითავისეს სპექტაკლის პერსონაჟთა სამყარო, სცენაზე წარმატებით გადმოსცეს თეატრის დიდებული და მძლავრი ატმოსფერო. მართალია, მოქმედება ხდება ცარიელ სივრცეში, მაგრამ ეს ლამაზი თანამედროვე გადაწყვეტა წარმოდგენის პლასტიკურ იმიჯთან მიმართებით ასახა რეჟისორმა სცენაზე სხვადასხვა სიმაღლეზე პლატფორმების განლაგებით და ჭერის განათების ჩვეულზე ქვევით განთავსებით. ამ მეთოდის წყალობით გაიზარდა სპექტაკლის დიპაზონი და ბუსტად იქნა გადმოცემული რეჟისორის ჩანაფიქრი.

რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ თხრობითი ფორმა ქმედითად აქცია და ამასთანავე შეინარჩუნა სიუჟეტის ლოგიკური განვითარება. სპექტაკლის ყველაზე შთამბეჭდავ ასპექტს ეჭვგარეშე წარმოადგენდა ლელა მახნიაშვილის როლი აიგულ ასანოვას შესრულებით. მან იდეალურად განასახიერა ნიჭიერი მსახიობი, რომელმაც თავი მიუძღვნა თეატრს.

სწორედ თემის აქტუალობამ და სიტუაციებმა, რომლებსაც ყველა მსახიობი აწყდება თეატრში, მიიპყრო ქართველი მსახიობებისა და რეჟისორის ყურადღება ყაზახური პიესის შერჩევისას. კონკურენცია ნიჭიერ პროფესიონალებს შორის, რომლებიც ტოვებენ სამშობლოს უკეთესი ცხოვრების ძიებაში, გვხვდება ყველა ქვეყანაში. ცხინვალის თეატრის დასმა წარადგინა მაღალმხატვრული სპექტაკლი, რომლითაც ამაღლდა ფესტივალის სტატუსი. ეს წარმოდგენა სამუდამოდ დარჩება ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც ყაზახური დრამატურგიის ადაპტირების პირველი მცდელობა.

ბოლო წლებში ყაზახეთში სულ უფრო აქტიურად იმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების კულტურული ცხოვრების გამოცოცხ-

ლებასა და განვითარებაში. ამ ფესტივალების წყალობით ყაზახურმა თეატრებმა დაიწყეს უცხოურ საფესტივალო პროექტებში მონაწილეობის მიღება. ასე რომ, ფესტივალები იქცა ჩვენი თანამედროვე კულტურის განუყოფელ ნაწილად.

საერთაშორისო ფესტივალები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს რეჟისორებს, მსახიობებსა და კრიტიკოსებს შორის თანამშრომლობისთვის, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირების განმტკიცებას, რადგან დღეს გლობალური კულტურული პროცესებისგან იზოლირება შეუძლებელია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ეს ფესტივალები ნამდვილად ეხმარება თეატრის პროფესიონალებს ახალი კავშირების დამყარებაში, გასტროლების არეალის გაფართოებაში,

ინოვაციების დანერგვაში, ნიჭიერი რეჟისორებისა და მსახიობების გაცნობაში.

როგორც ვხედავთ, დღეს ფესტივალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალურ კომუნიკაციაში. თანამედროვე ფესტივალები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოციალურ და კულტურულ პროცესებთან და სოციალური ურთიერთობების მრავალფეროვნებასა და სპეციფიკურობას ასახავენ. ისინი ქმნიან პლატფორმას ხელოვნების ფორმებისა და ინფორმაციის გაცვლისთვის, კონცენტრირებულნი არიან პიროვნებებს, ერებსა და კულტურებს შორის არსებულ ასპექტებზე. დღესდღეობით ფესტივალებმა შეიძინეს ღირებულება, როგორც კულტურული დიალოგის კულტივაციის ინსტრუმენტებმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Budde A., Samur S., Making Knowledge/Playing Culture: Theatre Festivals as Sites of Experiential Learning, Volume 40, Toronto, 2019.
- Jacqueline E. M., Georgia K. S., Rodney C. W., The Festival is a Theatrical Event, Amsterdam and New York, 2004.

THE ROLE OF FESTIVALS IN THE SOCIO-CULTURAL SPACE OF KAZAKHSTAN AND GEORGIA

Yerkebay Anar Saimzhankyzy

Keywords: festival, socio-cultural space, Kazakh theater, Georgian theater, international cultural relations

This article reveals the modern understanding of festivals in the context of their connection with socio-cultural communication. On the example of theater festivals in Kazakhstan and Georgia, the impact of these events on the socio-cultural space is analyzed.

Today, the festival is a universal communication channel that plays a role in strengthening social and artistic communication in the context of changes in economic relations and political contradictions. The festival allows a deeper look at the modern theatrical process and plays an important role in the formation and development of the international art market as well.

The development of festivals falls at the turn of the 20th and 21st centuries, and over time this type of city celebration becomes an increasingly popular form. The main reason for this is the development of mass communication, and the ability of the festival to combine various types of art in a single artistic space.

Modern festivals with good reason should be considered an inseparable part of modern culture, a constantly developing artistic phenomenon, an actively functioning system. As a rule, a festival in today's cultural tradition is a demonstration of the achievements of art in the field of music, theater, variety art, and circus. Usually this is a mass holiday, which consists of a series of concerts, united by one name and program and are held in a solemn atmosphere with a certain regularity. We can say that the festival brings together quite a variety of festivities, sometimes very different from each other. "Theatre festivals are both artistic events and cultural performances through which we make, experience and reflect on the societies and cultures we live in" [Budde, Samur (2019)].

Most importantly, each festival must have its own

concept and history, have its own specifics. The organizers use the experience of well-known festivals and build an individual strategy for a particular festival. Analyzing the experience of holding Kazakh festivals, it can be noted that their concept is necessarily associated with ancient ethnic traditions, the task is to preserve the national culture, innovation in culture is understood through the prism of these tasks. This is justified, since in the context of the deepening globalization of modern society, the issue of preserving national identity is acute. Respect for the past of one's people, the return of lost values and ideals are the foundation of people's deep mentality and a person's worldview. It is possible to revive and root it only through the key ideas for the people's self-consciousness. It is this philosophical and aesthetic approach—to comprehend and develop ancestors' ethno-cultural heritage that becomes the core in the concept of festivals held in Kazakhstan.

Recently, Kazakh theaters have begun to cooperate with many foreign theater festivals, including Georgian ones, which is really joyous for us. Creative ties between Georgia and Kazakhstan are intensively developing every year. At festivals in Almaty and Astana, the audience got acquainted with the colorful theatrical art of Georgia. The art of Georgia, a country that is not part of the CIS, rapidly absorbed the Western vector of development, merging into the European festival movement. Today, several major world-class festivals are taking place in

Georgia, and various international theater projects are being implemented.

One such festival is the Tbilisi International Theater Festival, which has been held since 2009, bringing together creative artists and building a bridge between the theatrical arts of Europe and Asia. "There are still very few such festivals in the territory of the former CIS countries, which is proof of the high international status of this festival" [Martin, Jacqueline E. and Seffrin, Georgia K. and Wissler, Rodney C. (2004)].

The main program of the Tbilisi International Theater Festival is the Georgian Show Case, which is aimed at integrating the national theater into the global cultural space. In addition, this festival opens up new opportunities for theatrical figures in the exchange of experience, joint staging of performances with foreign colleagues, etc. The festival program presents not only new performances, but also new drama, modern choreography, and creative experiments.

Indeed, the Georgian Show Case perfectly fulfills its role. Foreign guests and participants of the festival, theater critics, directors, producers and managers are inspired by this program and, upon arrival in their countries, implement plans for cooperation with Georgian colleagues. This contributes to creative progress, the growth of healthy competitiveness among national theaters. Therefore, the practical significance of this program is enormous.

Kazakh theaters have not yet participated in this theater festival, but theater experts play an important role in relations between the theaters of the two countries.

Kazakh theater critics have repeatedly taken part in the Georgian Show Case Program, which is unique in its organization, and witnessed interesting productions, and most importantly, acquaintances with the creative figures of Georgia, which later grew into large projects. Thus, young directors Gocha Khvichia and Irakli Gogia were invited to the theaters of Kazakhstan to stage performances.

We have noticed that the Georgian theater, which has rich age-old traditions, has mastered new vectors of development, new stage style, and has discovered new

names over the years of independence. We had the opportunity to see the work of world famous stage masters like Robert Sturua, Rezo Gabriadze, Temur Chkheidze, as well as Levan Tsuladze, Giorgi Margvelashvili, David Doiashvili, Dato Tavadze, Mikhail Charkviani, and other directors. The festival, in which Kazakh theaters began to take an active part, is Ozurgeti Nodar Dumbadze international theater festival.

In the past 2022 the Akmolinsky Regional Russian Theater with the production of "Learn To Live With Laughter" and the Aktybinsk Regional Puppet Theater with the play "Dog" took part as guests of the festival, however, this year, in 2023 K. Kozmyarov Academic Uyghur Music and Drama Theater¹ and the North Kazakhstan S. Mukanov Regional theater was included in the competition program, where they demonstrated their art and introduced a large number of spectators and guests of the festival to their national culture. The play "Kukaracha" staged by Barzu Abdurazakov at the S. Mukanov Theater evoked nostalgic feelings among the audience, since this story could take place not only in Georgia, but in every city and village of the Soviet era of the last century. Naughty children of Aksu village who secretly smoke and play tricks on their school teachers, watching Indian films in local clubs laughing and crying, pure and innocent feelings between Kukaracha and Inga did not leave the audience indifferent. The viewer does not just watch the story of the young district policeman Kukaracha, which was told by the children, he lives every scene along with the characters. Director Gaukhar Adai, who staged the play "Voynushka" by the modern Georgian playwright Basa Janikashvili at the Academic K. Kozhamyar Uyghur Music and Drama Theater abandoned the text and conveyed the main idea of the work in a clear language of plasticity and choreography. Through the fate of one family, the director showed a peaceful life and a tragedy-devastating the whole country, turning cities and villages into ruins, leading to the death of a war-that many people in the world are now experiencing. The performance shows the cruel actions of the conquerors, who do not recognize any values, destroying people's peaceful life, their houses and families built with love over the years.

1 The State Republican Academic Uyghur Theater of Musical Comedy named after Kuddus Kuzhamyarov is the only theater of the Uyghur people in the world, founded in 1934 in Almaty

Actors of the Uighur theater feel the terrible cruelty of the war, deeply understand what is happening in the world today, and convey it only with body language. Through plasticity, the fate and life of a person, entry into this system of war are depicted by “shooting” movements, and every thought, mise-en-scene is totally completed and does not violate the general flow of the storyline.

Composer Serikzhan Aitkali, performed live music for the play on stage. Accompanied by dombyra², zhetygen³, kylkobyz⁴ and other national instruments, he managed to reveal the actions of the actors and the characters’ personalities. The rhythm of the dombra in Serikzhan’s hands accurately conveys peace and the onset of war, the joy and tragedy of the heroes. And the voice of the jetigen seems to find harmony with every movement of the actor, turning character and melody into a single organism. The music, which sounded continuously from the beginning to the end of the performance, contributed to the development of the plot and helped the actors to work in a single rhythm, on the other hand, introduced and impressed the foreign audience with the sound of Kazakh national instruments.

At the end of each performance, the art director of the festival Vaso Chigogidze thanked the theater and wished them success. He expressed hope that cultural ties between the two countries would be strengthened in the future, emphasizing that the performing arts of Kazakhstan are developing comprehensively, keeping up with modern trends. The fact that two of the seven nominations approved by the festival regulations, as well as two special prizes, were awarded to two theaters of Kazakhstan, indicates a clear direction of the country’s theatrical art in the development of modern stage space. The director’s idea, the exact presentation of the author’s intention, acting skills were appreciated by the jury and the audience.

But the main prize stayed at home. “Samanishvili’s Stepmother,” presented by Tbilisi Liberty Theatre, was unanimously recognized by the jury as the best performance of the festival. Director Giorgi Margvelashvili, who staged David Kldiashvili’s famous work, is a well-known

figure in the Kazakh theater community. Firstly, for many years he was the rector of the famous work of Shota Rustaveli State University of Theater and Cinema, and worked closely with Temirbek Zhurgenov Kazakh National Academy of Arts. Secondly, Shakespeare’s “Romeo and Juliet” and Tadeusz Slobodzianek’s “Classmates” staged by Margvelashvili on the stage of M. Lermontov National Russian Drama Theater in Almaty, are still sold out. Also, he has repeatedly been a member of the jury at various theater festivals in Kazakhstan and conducted master classes in acting and directing skills. Therefore, we, who are familiar with his works, once again became convinced of the maestro’s high skill. In the interpretation of the director, who transferred the story from the 19th century to the present day, the relevance of the work has increased, and for today’s youth the depth of the theme of money and inheritance has been revealed. Undoubtedly, the combination of the director’s artistic thinking and psychological accuracy in revealing the nature of the characters and the real life of the actors on stage raises the performance to the highest level.

Since Nodar Dumbadze festival is dedicated to the performances of the Georgian prose, we had the opportunity to see classical and modern works performed by Georgian and foreign groups. The main idea of the festival is clear—to promote Georgian literature to the world through theater. And the fact that the geography of the festival is expanding from year to year indicates that these goals are being achieved.

Today, the theaters of Georgia have become frequent guests of international festivals in Kazakhstan. Back in 2018, the arrival of Shota Rustaveli Theater to the Astana World Festival was a big event, where they presented Bertolt Brecht’s play “Legalized Lawlessness” staged by the world-famous Robert Sturua. This work shows the harsh reality of life and pressing problems. R. Sturua used absurdity and grotesque in the play, frankly showing the current political situation, full of sarcasm and sharp satire, skillfully combining political courage and theatrical spectacle.

In 2022, Almaty hosted the II International Theater Festival “The World of Isabekov,” dedicated to the 80th

2 Dombyra is a Kazakh national plucked string musical instrument, a heritage of the Turkic-Mongolian (ancestor—Hun) culture.

3 Zhetygen is an ancient Kazakh plucked instrument with 21 strings, resembling a lying harp or gusli in shape.

4 Kobyz, also kylkobyz, nar-kobyz, is an ancient stringed bowed instrument of the Turkic peoples.

anniversary of the outstanding writer, playwright, laureate of the State Prize Dulat Isabekov. The performance "Actress" of I. Machabeli Tskhinvali State Theater from Georgia was presented in a truly modern style.

Georgian actors, having deeply understood the Kazakh drama and immersed themselves in the world of the heroes of the performance, were able to accurately convey the atmosphere of the great and mighty THEATER on the stage. Although the action takes place in an empty space, a beautiful and modern solution to the plastic image of the performance was found in the director's placement of platforms on the stage at different heights, and in the fact that all the lighting fixtures on the ceiling were lowered. This technique made it possible to expand the breath of the performance and accurately show the director's intention.

Director Gocha Kapanadze changed the form of the work from narrative (the playwright's story) to drama, without disturbing the play's tone, while maintaining the coherence of the plot. Undoubtedly, the biggest success of the performance was Aigul Asanova performed by Lela Makhniashvili. She perfectly revealed the image of a talented actress who devoted her whole life to the theater.

The topicality of the theme, the situations that happen to every actor in any theater - this is what interested the Georgian actors and the director in choosing a Kazakh play. Competition between talented people, professionals who leave their homeland in search of a better life exists in every state and country. The team of Tskhinvali

Theater presented a performance of a high artistic level, which raised the status of the festival. And undoubtedly, this production will remain in the history of the Georgian theater as the first appeal to the Kazakh dramaturgy.

In recent years, the organization of the international theater festival in Kazakhstan has gradually begun to move forward, playing the role of the most important factor in the initialization and activation of the cultural life of society. Thanks to these festivals, the theaters of Kazakhstan began to travel to foreign festival projects. Thus, festivals have become an integral part of our modern culture.

International festivals create favorable conditions for cultural cooperation between directors, actors and critics, these conditions contribute to the development of international cultural ties. After all, today one cannot be isolated from the global cultural process. And one more important factor, these festivals really help to find new connections for theater professionals, expand the horizons of tours and repertoire, see innovations in this area, get acquainted with advanced directing and talented actors.

As we can see, today festivals play a significant role in socio-cultural communication. Modern festivals are closely connected with social and cultural processes and reflect the versatility and specificity of social interactions. They provide a platform for the exchange of information in art forms and focus on interpersonal, interethnic and intercultural aspects. Nowadays, festivals have acquired a clear value as a means for cultivating cultural dialogue.

REFERENCES:

- Antje Budde and Sebastian Samur (2019) Making Knowledge/Playing Culture: Theatre Festivals as Sites of Experiential Learning. Publisher(s) Graduate Centre for the Study of Drama, University of Toronto Volume 40, Number 1-2, pp. 83-101.
- Martin, Jacqueline E. and Seffrin, Georgia K. and Wissler, Rodney C. (2004) The festival is a theatrical event. In: Cremona, Vicky and Eversmann, Peter and van Maanen, Hans and Sauter, Willmar and Tulloch, John, (eds.) Theatrical Events: Borders, Dynamics, Frames. Rodopi, pp. 91-110.